სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია

ინსტიტუციურ განვითარებაზე ორიენტირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა

/ 2025-2031 /

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 28. 30.10. 2023 წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი: / შალვა ჭკადუა /

თელავი
2023

1. პრეამბულა

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის ძირითად არსს წარმოადგენს უნივერსიტეტის, როგორც თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, უწყვეტი განვითარება ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელების ხელშეწყობით; ინოვაციებზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული კვლევების უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესთან მისი ინტეგრირება;

- წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა უნივერსიტეტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. დოკუმენტზე მუშაობის პროცესი იყო გამჭვირვალე, საჯარო და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ კომპეტენტურ პირს. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება, ცვლილების შეტანა და გაუქმება შესაძლებელია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით;

- იმისათვის, რომ თესაუ გახდეს ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლო-კვლევითი დაწესებულება, მთავარ წინაპირობას წარმოადგენს კვლევითი საქმიანობის გაღრმავება, სტრატეგიული გაძლიერება და გამრავალფეროვნება;

- სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიით განსაზღვრული პრინციპების დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტთან აფილირებული/არააფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალისა და ასევე სტუდენტებისათვის, როგორც დაწესებულებაში, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული კვლევითი საქმიანობის პროცესში.

2. სტრატეგიის მიზანი

- სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევასთან დაკავშირებული მიდგომების განსაზღვრა, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა; პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციის, ავტორიტეტისა და ცნობადობის გაზრდა რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე;

- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, კვლევითი საქმიანობა გახდეს საუნივერსიტეტო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, რაც მიზნად ისახავს კვლევის შედეგების ოპტიმალურად გამოყენება-დანერგვას რეგიონისა და საქართველოს მასშტაბით;

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ჩატარებული კვლევების შედეგების მდგრადობა, რაც დადებითად აისახება არა მხოლოდ თესაუს, არამედ კახეთის რეგიონის და, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკურ თუ სოციალურ განვითარებაზე და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ / საერთაშორისო გამოწვევებთან გამკლავებაში;

- კვლევითი საქმიანობის გაფართოება ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციას - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართვას საერთაშორისო კვლევით/ერთობლივ პროექტებსა და კვლევით მობილობებში აქტიურ მონაწილეობას;

- უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობით ხელი შეუწყოს ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემას, დამკვიდრებას, ქართული საზოგადოების განვითარებასა და გლობალურ კონტექსტში მისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. შესაბამისად, როგორც სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი, უნივერსიტეტი იქნება ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებისა და სამეცნიერო ეთიკის დაცვის ხელშემწყობი და განმახორციელებელი;

- უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნისამებრ, გარდა საკუთრივ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა, უნივერსიტეტის ძირითად სტრატეგიულ ფუნქციად განისაზღვრება მეცნიერების უახლესი მიღწევების ინტეგრირება სასწავლო / კვლევით პროცესში.

3. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უმთავრესი პრინციპებია: ცოდნისა და მეცნიერების ფუნდამენტურობა, მემკვიდრეობითობა, მაღალი ხარისხი; რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია;

- ისეთი კვლევითი საქმიანობის/აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე;

- უნივერსიტეტი კვლევისა და განვითარების სფეროში ახორციელებს კვლევის განვითარების სისტემური მხარდაჭერის პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება საუნივერსიტეტო დონეზე ფუნდამენტური და გამოყენებითი ინოვაციური კვლევების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პარტნიორებთან თანამშრომლობისა და კვლევის შედეგების სწავლების/სწავლის პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობას;

- მიზნიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი კვლევის განვითარების სისტემური ხელშეწყობისათვის ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს კერძო/საჯარო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობით;
- ქმნის სამართლიან, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებულ, კვლევისათვის პოზიტიურ, ორგანიზაციულ გარემოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

- აწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს;
- ამყარებს კავშირებს სხვადასხვა სასწავლო/სამეცნიერო ორგანიზაციასთან, ხელს უწყობს უნივერსიტეტის ჩართულობას კვლევით სივრცეში და მხარს უჭერს მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელებას;

- უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კვლევითი სტრატეგიაა, იზრუნოს მომავალი, ახალგაზრდა მკვლევრებისათვის/დოქტორანტებისათვის თავისუფალი, კვლევის განვითარების ხელმშემწყობი სივრცის შექმნაზე; მიზნობრივი/პროფილური და ინტერ დისციპლინარული კვლევების განვითარებაზე. შესაბამისად, უზრუნველყოს თანამედროვე კვლევითი გარემო და ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია (როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო), რათა მეცნიერებს, სტუდენტებსა და, ზოგადად, კვლევით დაინტერესებულ პირებს, მიეცეთ ურთიერთობის, განვითარებისა და ახალი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა;

- ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობის გაძლიერების/გაღრმავების მიზნით, უნივერისტეტს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელის ფუნქციები (უფლება-მოვალეობები) და დატვირთვის ზღვრული ოდენობა, რაც უზრუნველყოფს ნაშრომებისა და პროექტების ეფექტურ, ხარისხიან ხელმძღვანელობას და მაღალ ხარისხს;

- უნივერსიტეტი გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას წარმართავს აგრარული მიმართულებით; რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, განხორციელდება კომპლექსური კვლევები მევენახეობა-მეღვინეობის, ნიადაგების, ხორბლის ჯიშებისა და სოფლის მეურნეების სხვა კულტურების შესწავლის მიზნით;

- ახალგაზრდებში სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაციისა და მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტი სტრატეგიულად განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების, ასევე პოსტდოქტორანტების ჩართვას კვლევებში და მათი ინიციატივების მხარდაჭერას;

- კვლევის განვითარების სისტემური მხარდაჭერის პოლიტიკასთან ერთად, უნივერსიტეტში კვლევების მაღალპროდუქტიულობისა და მოტივაციის ამაღლებისათვის, მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, პასუხისმგებლობა ეკისრება სწავლება-სწავლისა და კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ სტრუქტურებს - ფაკულტეტებს / დეპარტამენტებს. შესაბამისად, უნივერსიტეტის ხედვა ემყარება მათთვის მოქმედების ისეთი

ფორმის შეთავაზებას, რომლის მეშვეობითაც ისინი შეძლებენ საჭიროებების ზუსტ იდენტიფიცირებას, კვლევითი პროფილების განსაზღვრას, განვითარებისათვის მათზე მორგებული აქტივობების დაგეგმვასა და შესრულებას. ფაკულტეტი/დეპარტამენტი, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, დაგეგმავს და განახორციელებს ინოვაციურ ფუნდამენტურ, გამოყენებით, ინტერდისციპლინურ/მულტიდისციპლინურ კვლევებს და მხარს დაუჭერს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას კვლევით პროცესებში, სამეცნიერო საქმიანობის წარმართვაში (პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში; კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენა; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა-მივლინება; კონფერენციების მოწყობა; მონოგრაფიების/სახელმძღვანელოების გამოცემა; მკვლევრების წახალისების მხარდაჭერა და სხვა). ფაკულტეტი/დეპარტამენტი იზიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და ზრუნავს კვლევის შედეგების სწავლება-სწავლის პროცესში ინტეგრირებაზე. იგი, ასევე, მონიტორინგს უწევს კვლევითი საქმიანობის ხარისხს და აფასებს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას შესაბამისი კრიტერიუმებით; შეფასების დროს ითვალისწინებს უნივერსიტეტში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაციით გაცემულ რეკომენდაციებს.

4. მონიტორინგი და შეფასება

- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგულარულად (ყოველწლიურად) ხდება აკადემიური პერსონალის/დარგობრივი სამეცნიერო მიმართულებების კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტურობის შიდა და გარე შეფასება-ანალიზი; შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

- უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი/ინდიკატორი იქნება ეროვნული/რეგიონული თუ საერთაშორისო საგრანტო კვლევითი პროექტების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, თანამშრომლობა ადგილობრივ, რეგიონულ თუ უცხოელ პარტნიორებთან.

  - **კვლევითი კომპონენტი/სამეცნიერო ინდიკატორი:**

- კვლევითი პროექტების დაფინანსება ან/და ჩართულობა **(საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა/პროექტები, ეროვნული საგრანტო პროექტები, ადგილობრივი საგრანტო პროექტები);**
- საგამომცემლო საქმიანობა **(წიგნები და მონოგრაფიები; რეფერირებადი და საერთაშორისო ინდექსის მქონე ჟურნალები);**
- პუბლიკაციები **(საერთშორისო რეფერირებად/იმპაქტ ფატორიან ინდექსის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნება)**;
- სტუდენტებთან განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები **(სამეცნიერო ხელმძღვანელობა, ფორუმებში მონაწილეობა);**
- სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება-ჩატარება **(საერთაშორისო, ადგილობრივი);**
- აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსი;
- ტექნოლოგიური პროდუქტიულობა **(კვლევების კომერციალიზაცია, პატენტი, გამოგონება, ლიცენზია);**

- კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები.

❖ **რეგიონალური კომპონენტი:**

- კვლევების დაფინანსება კახეთის რეგიონის განვითარებისათვის;
- კახეთის რეგიონში ეთნიკური უმცირესობებით (მოწყვლადი ჯგუფები) დასახლებული ტერიტორიებისა და მოსახლეობის (პანკისის ხეობა, ყარაჯალა, ლაგოდეხის და ყვარლის სოფლები) პრობლემემატიკასთან დაკავშირებული პროექტები **(ურთიერთობები, გენდერი, ონომასტიკა, ისტორია, ტრადიციები, მეტყველება, განათლება....);**
- უნივერსიტეტისა და სკოლების ურთიერთთანამშრომლობა / ერთობლივი აქტივობები **(სამეცნიერო კონფერენცია, სამეცნიერო ფესტივალი, სამეცნიერო პიკნიკი, საჯარო ლექცია...);**
- სტუდენტთა სტაჟირება და კურსდამთავრებულთა დასაქმება კახეთის რეგიონში;
- კახეთის რეგიონისათვის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები.

➢ უნივერსიტეტი საქმიანობას განახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს „შრომის კანონთა კოდექსით", საქართველოს „ადმინისტრაციული კოდექსით", უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებებითა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

➢ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად გააუმჯობესებს ინსტიტუციური კვლევებისადმი მიდგომისა და განხორციელების/დაფინანსების პროცესს, რითაც პრაქტიკაში საბოლოოდ დანერგავს მაღალ სამეცნიერო კულტურას; ამით უპირობოდ გაიზრდება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევის პროდუქტიულობა, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს სამეცნიერო წრეების, ეკონომიკისა და, ზოგადად, საზოგადოებისათვის მსახურებას.